ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1587894

ნომერი: AR1263040

თარიღი : 04.11.2014

გაცემის თარიღი : 11.11.2014

გაცნობის თარიღი : 11.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარის , N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარის , N1-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , ატს-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 19/078)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , ატს-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი 19/079) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ გიორგაძე პ/ნ 01020007752
- ჯანელიძის #8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა–ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება და გამომდინარე აქედან, ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა–ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, მოგახსენებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია თქვენს მიერ ატვირთული ფოტომონტაჟის მიხედვით ობიექტის შემდგომი განვითარება. ავტოსამრეცხაოს მოწყობა ქალაქგეგმაგერით კარკასზე, მთავარი ქუჩის მხარეს დაუშვებელია (იხ. ქ. თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის # 01.14.11 დადგენილება ქ. თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე განთავსებული ავტოსამრეცხაოების არქიტექტურულად მოწესრიგების ღონისძიების შესახებ – აღნიშნულის გათვალისწინებით დაუშვებელია ავტოსამრეცხაოს ფუნქციონირება ,ანუ ძირითადი ფასადის ორიენტაცია ცენტრალური მაგისტრალის, ქუჩების მხარეს ტროტუარებზე და სავალი ნაწილის სიახლოვეს). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქუჩის მხარეს განთავსდება ობიექტი, რომლის ფასადის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტუკური თვალსაზრისით დახასიათდება მაღალი მხატვრული მონაცემებით, მაღალ ხარისხიანი მასალისგან დამზადებული თანამედროვე დიზაინით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამის ველებში ატვირთულ იქნას სხვადასხვა რაკურსიდან, მათ შორის შორი მანძილიდან ე. ხარაძის და ქერჩის ქუჩიდან გადაღებული ფოტოსურათები და აღნიშნული ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟები გაბარიტული ზომებისა და მასალების მითითებით, გარდა ამისა ვინაიდან საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სატრანსპორტო საკვანძო ადგილს, საჭიროა დამატებით ატვირთოთ გენ–გეგმა, რომელზეც არსებულ და საპროექტო შენობებთან ერთად ასევე დატანილ იქნება სატრანსპორტო შესვლა/გამოსვლის სქემა.

გარდა ამისა გაითვალისწინეთ: იმისათვის, რომ მოხდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება, საჭიროა საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ამოღებულ იქნას შენიშვნა „საგანი 170კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“.

ასევე, ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერში თქვენს გარდა ასევე ფიქსირდება შ.პ.ს „დავითი“–ს საკუთრების უფლება, საჭიროა „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს აღნიშნული ორგანიაციის დირექტორის მიერ გაცემული თანხმობა საპროექტო დავალებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.